მიეცით ხმა კანონპროექტს				
ინიციატორი	*სსიპ ქალაქ ბათუმი N16 საჯარო სკოლა* ***მე-10 კლასის მოსწავლე ქეთევან მალაზონია***			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	*კანონები იქმნება ხალხისთვის, თუმცა საზოგადოება ამ კანონების შექმნის პროცესში ნაკლებად არის ჩართული. მოქალაქეების აზრით, რიგი კანონები არ პასუხობს/ეხმაურება გამოწვევებს, არ არის მორგებული ფართო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე, არ გამოხატავს ხალხის აზრს და საჭიროებს ცვლილებებს, მაგრამ შესაბამისი ბერკეტი რომელიც, კანონპროექტის შექმნის პროცესში საზოგადოების ჩართულობას შეუწყობს ხელს არ არსებობს.*			
პრობლემის გადაწყვეტის გზა	*პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მოსახლეობის გამოკითხვით. ვიდრე კანონპროექტი განხილვის პროცესშია შეიძლება მოქალაქეების განწყობების გაგება და მასში შესაბამისი ცვლილების შეტანა.* *ვფიქრობ, უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე შეიძლება ჩაშენდეს გამოკითხვის ბმული/მოდული, სადაც მიმდინარე კანონპროექტებზე მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, ხმა მისცენ მას, ასევე კომენტარის სახით მიაწერონ რეკომენდაციები ცვლილებების შესახებ და ამ ინიციატივას ექნება სარეკომენდაციო ხასიათი.* *უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში გახდება უფრო ღია და მოსახლეობის ჩართულობა გაიზრდება.* *ასევე, პროცესში, მოქალაქეების ჩართულობის გასაზრდელად, შეიძლება ყოველწლიურად დაწესდეს ყველაზე აქტიური მოქალაქის და ორგანიზაციის პრიზი, რომლითაც დაჯილდოვდება ყველაზე აქტიური მოქალაქე ან ორგანიზაცია, საკანონმდებლო ინიციატივებში/საქმიანობაში ყველაზე აქტიური ჩართულობისათვის.* *შესაძლოა, ეს დაჯილდოება გაიმართოს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან საშემოდგომო სესიების დასრულების შემდგომ, წლის შეჯამებისას.*			
მთავარი მიზანი	*მთავარი მიზანია,ი გამართული და მოსახლეობაზე მორგებული კანონების მიღება.* *საზოგადოების ჩართულობის გაზრდა უშუალოდ კანონების მიღების პროცესში.*			
ღია მმართველობის პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდე-ბულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია

მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე, ჩამოთვლილიდან რომელ პრინციპს შეესაბამება ეს ვალდებულება	×		×	×
შესაბამისი SDG მიზანი *არასავალდებულო ველი*				
განხორციელების ეტაპები	**დაწყება:**	**დასრულება:**	**ინდიკატორი**	
ეტაპი 1 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე: http://www.sca.ge/ ჩაშენდეს სპეციალური ველი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება საშუალება მისცეს ხმა და დაუჭიროს მხარის მისთვის საინტერესო კანონპროექტებს ან გასცეს რეკომენდაცია მასში ცვლილების შეტანის შესახებ.*	*01/2023*	*საჭიროების მიხედვით*	*უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე არსებობს შესაბამისი ფუნქციონალი, რომლითაც დაფიქსირებული ხმების და რეკომენდაციების რაოდენობა.*	
ეტაპი 2 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე: http://www.sca.ge/ ჩაშენდეს სპეციალური ველი, სადაც მოხდება ყველაზე აქტიური მოქალაქის ან ორგანიზაციის გამოვლენა და მათი დაჯილდოება სიმბოლური პრიზით.*	*12/2023*	*საჭიროების მიხედვით*	*უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ფიქსირდება ხმების და რეკომენდაციების რაოდენობა. ასევე, ყველაზე აქტიური მოქალაქისათვის დაწესებულია შესაბამისი ჯილდო და გამოვლენილია გამარჯვებული.*	